საქართველოს მწვანეთა მოძრაობა
დედამიწის მეგობრები – საქართველო

# გარემო და საზოგადოება

საქართველოს მწვანეთა მოძრაობის პერიოდული გამოცემა. № 3 (26) 2014 წელი

**„უსაფრთხო სასმელი წყალი და სათანადო სანიტარიული პირობები გადამწყვეტია სიღარიბის დაძლევისათვის, გადამწყვეტია მდგრადი განვითარებისათვის და გადამწყვეტია ათასწლეულის განვითარების თითოეული მიზნის მიღწევისათვის.“**

***ბან კი მუნი, გაეროს გენერალური მდივანი***

**„სანიტაული პირობების არარსებობა არის მსოფლიო მასშტაბის კრიზისი, რომელიც გავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე და წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოს ერთერთ უდიდეს გამოწვევას“**

***გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წყლის განყოფილების ხელმძღვანელი პასკუალ სტეიდუიტო***

## წყალი, სანიტარია და თანამედროვე მსოფლიო

დღეს, როდესაც ვსაუბრობთ 21 საუკუნის მიღწევებზე, ახალ ტექნოლოგიებზე, მსოფლიო ცივილიზაციის გავითარებაზე და ადამიანის უსაზღვრო პოტენციალზე, მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი განიცდის სანიტარული-ჰიგიენური პირობების არ არსებობას და მილიონობით ადამიანი აღორძინების ეპოქაში, ცუდი საცხოვრებელი პირობების და უსაფრთხო სასმელი წყლის არ ქონის გამო, ხშირად სიკვდილის პირას დგას.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციისა და იუნისეფის (გაეროს ბავშვთა პროგრამა) წყლის მიწოდებისა და სანიტარიის ერთობლივი მონიტორინგის პროგრამის ბოლოდროინდელი (შეგროვდა 2011-ში და გამოიცა 2013-ში) მონაცემების თანახმად, მსოფლიოს მოსახლეობის 36%-ს - 2,5 მილიარდ ადამიანს - ხელი არ მიუწვდება ნორმალურ სანიტარულ პირობებზე, ხოლო 768 მლნ ადამიანი ჯერ კიდევ ვერ მოიხმარს უსაფრთხო სასმელ წყალს. უსაფრთ-

ხო წყალსა და სანიტარულ სერვისებზე არაადექვატური ხელმისაწვდომობა ჰიგიენური პრაქტიკის დაბალ დონესთან ერთად, ხდება ყოველდღიურად ათასობით ბავშვის დაავადებისა და სიკვდილის მიზეზი, და ასევე, ათასობით მოზარდს უკარგავს განვითარების შესაძლებლობებს. უსაფრთხო სასმელი წყალი, მოწესრიგებული სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები წარ-

მოადგენს ათასწლეულის განვითარების გეგმის უმნიშვნელოვანესს მიზანს და მისი გადაჭრისათვის საჭიროა დროული და ეფექტური ქმედებების გატარება მსოფლიო მასშტაბით.

ცუდი სანიტარული პირობები, წყლის ნაკლებობა და მოუწესრიგებელი ჰიგიენა სხვა სერიოზულ პრობლემებსაც ქმნის. მსოფლიოს მრავალ ქყეყანაში ბავშვებს, განსაკუთრებით კი გოგონებს - ხელი არ მიუწვდებათ განათლებაზე, რადგან მათ სკოლებში არ არის განცალკავებული და კეთილმოწყობილი სანიტარული წერტილები. იუნისეფი მსოფლიოს მასშტაბით 100-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობს, რომ გაუმჯობესოს წყლის მიწოდება და სანიტარული მდგომარეობა სკოლებსა და თემებში.

## უსაფრთხო სასმელი წყალი და მოწესრიგებელი სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების ნაკლებობას მილიონობით ადამიანი განიცდის მსოფლიოში

უსაფრთხო სასმელი წყალი, მოუწესრიგებული სანიტარიული-ჰიგიენური პირობები ერთერთი აუცილებელი კომპონენტია ადმიანების განვითარებისათვის და ცხოვრების დონის გაუმჯობესებისათვის. მის მოსაგვარებლად მსოფლიო მასშტაბით მრავალი აქტივობაა დაგეგმილი. ჯერ კიდევ, 2008 წელს გაეროს გენერალუმა ასაბლეამ, აღიარა რა, სანიტარიის გავლენა ადამიანის ჯანმრთელობაზე, გარემოზე, სიღარიბის დაძლევასა და სოციალური პირობების განვითარებაზე, 2008 წელი სანიტარიის საერთაშორისო წლად გამოაცხადა. მიზეზი, მსოფლიოში ბოლო წლებში სანიტარული მდომარეობის გაუარესება იყო. სანიტარიის წლის გამოცხადების მიზანი იყო მომხადრიყო გლობალური მასშტაბით სანიტარული კრიზისის დაძლევა გაეროს განვითარების პროგრამის ფარგლებში 2015 წლისთვის.

სანიტარიის საერთაშორისო წელს გამოიკვეთა 5 ძირითადი გზავნილი, რომელიც გულისხმობდა სანიტარიული მდომარეობას გაუმჯობესებისათვის საჭირო ქმედებების განხორციელებას. ესენია:

- სანიტარიის გაუმჯობესება (სისუფთავისა და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვისათვის საჭირო ღონისძიებათა ერთობლიობა) - რაც წარმოადგენს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან პირობას ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ცუდი სანიტარიული პირობები კი ხშირად ადმიანის სიკვდილისა და ავადმყოფობის მიზეზი ხდება;
- სანიტარია, რომელსაც შეუძლია უდიდესი გავლენა მოახდინოს ეკონომიკის განვითერაბაზე (მოწესრიგებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები დადებითად აისახება ეკონომიკის ზრდაზე, სიღარიბის დაძლევაზე და ინვესტიციის გაზრდაზე);
- მოწესრიგებული სანიტარული პირობები განსაზღვრავს ადამიანის სოციალური კეთილდღეობას და სიძლიერეს.
- ჯანსაღი სანიტარული პირობების არსებობა საშუალებას იძლევა ნაკლები ზიანი მიადგეს გარემოს.
- სანირატიული პირობების გაუმჯობესება - ხელისუფლების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების ერთად მუშაობითა და აქტიური თანამშრომლობით მიღწევა.

## ყველა ადამიანს აქვს უფლება ხელი მიუწვდებოდეს სუფთა და უსაფრთხო წყალზე

**საქართველოს კანონი წყლის შესახებ**

**„წყალი უნიკალური და უპირველესი, სასიცოცხლო მნიშვნელობის, ადამიანის, ცხოველთა სამყაროს და მცენარეული საფარის არსებობისათვის აუცილებელი და საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის უმნიშვნელოვანესი ბუნებრივი რესურსია.**
**საქართველოს კონსტიტუციით ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად, საზოგადოების ეკოლოგიური და ეკონომიკური ინტერესების შესაბამისად, ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესების გათვალისწინებით სახელმწიფო უზრუნველყოფს გარემოს დაცვას და შესაბამისად, გარემოს შემადგენელი ძირითადი კომპონენტის – წყლის დაცვას. ყველა, საქართველოში მცხოვრები, ვალდებულია უზრუნველყოს წყლის რაციონალური და მდგრადი გამოყენება და დაცვა, არ დაუშვას მისი დაბინძურება, დანაგვიანება და დაშრეტა“**

## „წყალი სიცოცხლის ელექსირია“

სუფთა სასმელი წყალი პლანეტის ერთერთი უმნიშვნელოვანესი და შეუცვლელი ბუნებრივი რესურსია. ის სიცოცხლის წყარო და საშენი მასალაა, რომელიც დედამიწაზე მცხოვრები ყოველი ცოცხალი ორგანიზმის არსებობისათვის აუცილებელი სასიცოცხლო რესურსია. მასთან არის დაკავშირებული ადამიანური განვითარების და არსებობის ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორები. მიუხედვად იმისა, რომ დედამიწის 70% წყალს უჭირავს, მსოფლიოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს ხელი არ მიუწვდება სუფთა სასმელ წყალზე.

მოსახლეობის რაოდენობის მატებას, ინტენსიური ურბანიზაციის პროცესების და ეკონომიკური განვითარების მკვეთრ ზრდას, ხშირად თან ახლავს გარემოს დაბინძურება. მდინარეებში, ზღვებსა თუ ოკიანეებში, ხშირად სიცოცხლისათვის საშიში მავნე ნივთიერებები ჩაედინება, რაც საბოლოოდ აბინძურებს წყალს და უვარგისს ხდის. ამიტომ ეფექტური ღონისძიებების დასახვისა და შესაბამისი გადაწყვეტილებების მიღების გარეშე, შესაძლოა მსოფლიო ფატალურ შედეგებამდეც კი მივიდეს. იმისათვის, რომ თავიდან იქნას აცილებული მრავალი დაავადება მოსახლეობას უნდა მიეწოდოს უსაფრთხო სასმელი წყალი და უნდა გაუუმჯობესდეს სანიტარიული პირობები.

აღსანიშნავია, რომ წყალი, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობები ათასწლეულის განვითარების გეგმის უმნიშვნელოვანესი კომპონენტებია, რაგდან უსაფრთხო სასმელი წყალი და მოწესრიგებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები განმსაზღვრელია ავადმყოფობის შემცირების, გარემოს მდგრადობისა და სიღარიბის დაძლევის სფეროში.

### ცნობილია, რომ

დაბინძურებული წყალი იწვევს სიცოცხლისათვის საშიშ მრავალ დაავადებებს, მათ შორისაა:

- ინფექციური და კუჭ-ნაწლავის დაავადებები;
- ფაღარათი;
- ქოლერა;
- მუცლის ტიფი;
- დიზენტერია;
- შარდსასქესო სისტემის დაავადებები;
- ინფექციური ჰეპატიტები, (ვირუსული ჰეპატიტები.

წყლის მეშვეობით შესაძლებელია ორგანიზმში შეაღწიონ ჰელმინტების კვერცხებმა ასკარიდა, მრგვალმა ჭიები და სხვა. დაბინძურებული წყალი არის გამომწვევი მიზეზი კანის ინფექციური დაავადებების, სხვადასხვა სახის ალერგიული გამოვლინებებისა და ქიმიური ელემენტებით გამოწვეულ ინტოქსიკაციის.

სამწუხაროდ, ევროპაში 100 მილიონზე მეტი ადამიანი განიცდის უსაფრთხო სასმელი წყლისა და არაჯანსაღი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების ნაკლებობას, რაც ხელს უწყობს წყლისმიერი დაავადებების წარმოქმნას. უსაფრთხო სასმელი წყლისა და არაჯანსაღი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების გამო, მსოფლიოში ყოველწლიურად დაახლოებით მილიონობით ადამიანი იღუპება, გარდაცვლილთა უდიდესი პროცენტული მაჩვენებელი კი მცირეწლოვან ბავშვებზე მოდის.

### გვახსოვდეს!

**წყალი** - ერთერთი მნიშვნელოვანი ბუნებრივი სასიცოცხლო რესურსია!

### ცნობილია, რომ

- მსოფლიოში 80 მეტი ქვეყანა, სადაც მსოფლიოს მოსახლეობის 40% ცხოვრობს, განიცდის წყლის დეფიციტს.
- ყოველწლიურად 3,4 მლნ კაცი კვდება წყლისა თუ სანიტარიულ-ჰიგიენურ პრობლემებთან დაკავშირებული მიზეზების გამო.
- სუფთა სასმელი წყლის დეფიციტის გამო ყოველდღიურად კვდება 4500 ბავშვი. მათი უმრავლესობა 5 წლამდე ასაკისაა.
- სუფთა სასმელი წყლის უქონლობის და სანირატულ-ჰიგიენური პირობების არქონის გამო ადამიანები სხვადასხვა დიაგნოზით ხშირად ხვდებიან საავადმყოფოებში.
- სუფთა წყალი და მოწესრიგებული საკანალიზაციო სისტემა კი მთავარი პროფილაქტიკური საშუალებაა ბავშვთა სიკვდილიანობის შესამცირებლად.
- დღეს მსოფლიოს მასშტაბით სუფთა სასმელ წყალზე 780 მილიონზე მეტ ადამიანს ხელი არ მიუწვდება.

**აღსანიშნავია**, რომ ჯერ ჯიდევ 2002 წელს ქ. იოჰანესბურგის მდგრადი განვითარების საერთაშორისო სამიტზე მსოფლიოს ყველა ქვეყნის მიერ მხარდაჭერილ იქნა ევროკავშირის წყლის ინიციატივა რომელიც გულისხმობს:

- 2015 წლისათვის მიღწეულ იქნას ხელმისაწვდომობა, უსაფრთხო და სუფთა სასმელ წყალზე მსოფლიო მოსახლეობის უმრავლეობისათვის;
- 2015 წლისათვის, ნორმალური სანიტარულ-ჰიგიენური პირობების არ მქონე მოსახლეობის რაოდენობა განახევრდეს;
- 2015 წლამდე, ყოველდღიურად 20 000 ადამიანი, დამატებით იქნას უზრუნველყოფილი უსაფრთხო სასმელი წყლით;
- 2015 წლამდე ყოველდღიურად 240 000 ადამიანი, დამატებით იქნას უზრუნველყოფილ ნორმალური სანიტარული პირობებით;

# წყალი და მასთან დაკავშირებული პრობლემები

ცნობილია, რომ ადამიანი წყლის მარაგს სხვადასხვა მიზნებისათვის იყენებს, იქნება ეს, საყოფაცხოვრებო, სამრეწველო თუ სასოფლო სამეურნეო დაანიშნულება. მიუხედავად იმისა, წყალი ბუნებაში საკმაო რაოდენობითაა და დედამიწის დაახლოებით 70% პროცენტი უჭირავს, ამ ბუნებრივ რესურსს განსაკუთრებული მოვლა და გაფრთხილება სჭირდება. საქართველო წყლის რესურსების მხრივ საკმაოდ მდიდარია, ქვეყანაში 26 000 მეტი მდინარეა დაფიქსირებული, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში ზედაპირული წყლების დიდი ნაწილი და რიგ შემთხვევაში მიწისქვეშა წყლებიც დაბინძურებულია. სამწუხაროდ, ქვეყანაში სრულყოფილად არ არის მოწესრიგებული წყალმომარაგების ინფრასტრუქტურა. ჭარბი ნალექების, კოკისპირული წვიმების, სტიქიური უბედურებებისა თუ წყალდიდობების დროს ხშირია ცენტრალიზირებული წყალსადენების და სათავო ნაგებობების დაზიანების ფაქტები, რამაც შეიძლება სასმელი წყლის დაბინძურება გამოიწვიოს.

ხშირად წყლის დაბინძურების მიზეზი ადამიანის სამეწარმეო საქმიანობაა. მინერალური სასუქები, პესტიციდები, სამრეწველო და საყოფაცხოვრებო წყლები, უმრავლეს შემთხვევაში ყოველგვარი გაწმენდის გარეშე ჩაედინება მდინარეებში და წყალსატევებში. რაც საბოლოოდ სერიოზულ საფრთხეს უქმნის მოსახლეობას.

ქვეყანაში პრობლემებია საკანალიზაციო სისტემებთან დაკავშირებით. მართალია დიდ ქალაქებში ამ მხრივ შედარებით მოწესრიგებულია მდგომარეობა, მაგრამ, უმძიმესი მდგომარეობაა რეგიონებსა და სოფლებში სადაც უმრავლეს შემთხვევებში არ არსებობს ცენტრალური საკანალიზაციო სისტემები და ხშირ შემთხვევებში კანალიზაცია პირდაპირ ჩაედინება მდინარეებში. რის გამოც ბინძურდება როგორც მდინარე, ასევე სერიოზული საფრთხე ექმნება გარემოს და ადამიანის ჯანმრთელობას. რაიონებსა თუ სოფლებში ხშირ შემთხვევებში მდინარეების წყალს იყენებენ, როგორც სასაოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის, ხშირია დაბინძურებულ მდინარეებში ბანაობის ფაქტები, რაც ზრდის ინფექციური დაავადებების წარმოქმნის რისკს.

წყლის მიწოდების მხრივ, დღეისათვის პრივილეგირებულ დონეზეა დიდი ქალაქების მოსახლეობა, რომლებსაც ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაუუმჯობესდათ მიწოდებული სასმელი წყლის რაოდენობრივი პარამეტრები, გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა წყლის ხარისხობრივი მაჩვენებლების გასაუმჯობესებლადაც, წყალმომარაგების კომპანიებმა ჩამოაყალიბეს მონიტორინგის სისტემები და ცდილობენ მიაღწიონ მათ გამართულ მუშაობას და სხვა.

მაგრამ, რადიკალურად განსხვავებული სიტუაციაა სოფლებში.

დასავლეთ საქართველოს სოფლები (წყლის რესურსების სიჭარბის გამო), ძირითადად სარგებლობს ჭებით და მოიხმარს ზედაპირული და გრუნტის (იშვიათად) წყლებსაც. აღმოსავლეთ საქართველოში კი ძირითადად მოიხმარება გრუნტის (მიწისქვეშა) წყაროები. რაოდენობრივი თვალსაზრისით სასმელი წყალი დეფიციტურია

აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო წყლის ხარისხი არადამაკმაყოფილებელია მთელი ქვეყნის მაშტაბით.

სასმელი წყლის დაბალი ხარისხის გამო ჯანმრთელობისათვის შექმნილი რისკების ალბათობა იზრდება იმის გამოც, რომ:

- არ ხორციელდება სოფლის მოსახლეობისათვის მიწოდებული სასმელი წყლის მონიტორინგი, ამ დანიშნულებით არ ფუნქციონირებს რაიმე ლაბორატორია და სტრუქტურა;
- დაუცველია წყალმომარაგების სათავე ნაგებობები და მთლიანად სისტემა, მაგისტრალები ამორტიზირებული და ავარიულია და სხვა.

## ქალი და სანიტარია

წყლის არარსებობა და ნაკლებად მოწესრიგებული სანიტარულ-ჰიგიენური პირობები განაკუთრებით მძიმეს ხდის ქალის შრომას, განსაკუთრებით თუ ის სოფლად ცხოვრობს, სადაც არ არის მოწესრიგებული წყლის ცენტარალური სისტემები და წყლის მოტანა უწევთ სხვადასხვა წყაროებიდან ან ჭიდან, რაც კიდევ უფრო გაუსაძლის ხდის მათ შრომას.

იმისათვის, რომ სოფლად მცხოვრები ქალების შრომა სათანადოდ დაფასებულიყო გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 15 ოქტომბერი დაარსდა, „როგორც სოფლად მცხოვრების ქალების საერთაშორისო დღე“ და ის 2008 წლიდან მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში აღინიშნება. რითაც კიდევ ერთხელ მახვილდება ყურადღება იმ მძიმე პირობებზე, რა პირობებშიც სოფლად მცოხვრებ ქალბატონებს უწევთ ცხოვრება. სამწუხაროდ, ისევე როგორც მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, საქართველოშიც არ არის ამ მხრივ სახარბიელო მდგომარეობა. რადგანაც, რეგიონებში, განსაკუთრებით კი სოფლებში საკმაოდ მოუწესრიგებელია წყლის პრობლემები, არ არის დაცული სანიტარიული პირობები, რაც საბოლოოდ ამძიმებს სოფლად მცხოვრები ქალქების ყოფას. ამიტომ საჭიროა ეფექტური ქმედებების გატარება რეგიონის მოსახლეობისათვის, რომ მოწესრიგდეს სოფლებში წყლის, სანიატიულ-ჰიგიენურტი პირობები და ოჯახის დიასახლლის მიეცეს იმის საშუალება რომ ხელი მიუწვდებოდეს წყალზე და არ დაკარგონ ზედმეტი დრო და ენერგია მისი ჭიდან ან წყაროებიდან მოტანაზე. ხშირ შემთხვევაში ქალები თითქმის არ არიან ინფორმირებული იმის შესახებ, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს წყლისა და სანიტარიის სისტემის მოუწესრიგებლობას.

## საქართველოში წყალმომარაგების კუთხით არსებული პრობლემების გავლენა გენდერულ თანასწორობაზე

არასამთავრობო ორგანიზაცია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველოს დაკვეთით, „ქალთა როლის გაძლიერება ყველასთვის“ (ჰოლანდიის საგარეო სამინისტროს პროგრამა) პროექტის ფარგლებში განხორციელდა კვლევა, რომლითაც უნდა დადგენილიყო საქართველოს სოფლებში ქალთა მდგომარეობის და პრობლემების ურთიერთკავშირი წყალმომარაგების, სასმელი წყლის მოპოვებისა და ხარისხთან დაკავშირებულ საკითხებზე. კერძოდ: უნდა გამოვლენილიყო,

- წყალმომარაგებაში არსებული პრობლემების პირდაპირი კავშირი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს სოფლად მცხოვრები ქალების საყოფაცხოვრებო და შრომის პირობებთან, დახარჯულ დროსა და ენერგიასთან;
- სოფლის მოსახლეობისა და განსაკუთრებით ქალების ხედვა ზემოთ ნახსენები პრობლემებიდან გამოსავალი გზების ძიებაში;
- ქალთა გართულებული საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარების შემ-

თხვევაში, გამონთავისუფლებული დროისა და ენერგიის, მათი და ოჯახის საკეთილდღეოდ გამოყენება.

ჩატარებული კვლევის მიზანი იყო საქართველო რეგიონებში კერძოდ, კახეთსა და იმერეთში მცხოვრები ქალბატონების სასმელ წყალთან დამოკიდებული პრობლემების და ამ პრობლემებისადმი მათი დამოკიდებულებების შესწავლა.

კვლევა ითვალისწინებდა ამ მიმართულებით ვითარების შესწავლასა და ანალიზს. კვლევა განხორციელდა ფოკუს-ჯგუფის გამოყენებით დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რეგიონებში. კერძოდ კახეთში, საგარეჯოს რაიონის სოფელ გიორგიწმინდას და ხონის რაიონის სოფელ მათხოჯის მოსახლეობის ჯგუფებთან, ასევე გაიმართა შეხვედრები წყალმომარაგებასთან დაკავშირებულ პროფესიონალებთან, სოფლის რწმუნებულებთან და გამგებლის მოადგილეებთან.

კვლევის შედაგად გამოიკვეთა უამრავი პრობლემა, რაც დაკავშირებულია წყლის მომარაგებასთან და ხარისხთან. კერძოდ, კვლევით დადგინდა, რომ ოჯახს ყოველდღიურად სასმელი, საჭმლის მომზადების, ჭურჭლის და სარეცხის, სანიტრული-ჰიგიენური მიზნებისათვის, დაახლოებით, ესაჭიროება 300-700 ლიტრამადე წყალი. ოჯახის წყლით მომარაგება ძირითადად ხორციელდება ქალების მიერ, რაც ქალების მხრიდან დაკავშირებულია დროის (დღეში 2-4 საათი) და ენერგიის დიდ დანახარჯთან. განსაკუთრებით უჭირთ იმ ქალბატონებს რომლებიც მუშაობენ, რადგან საოჯახო საქმეების გარდა, ისინი საკუთარ მიწის ნაკვეთებშიც ეწევიან ფიზიკურ შრომას, ასევე მარტოხელა მოხუცებს. ამის გამო ქალებს ნაკლები დრო რჩებათ, როგორც პირადი, ისე ოჯახისათვის საჭირო სხვა საქმიანობისათვის.

ქალები, რომლებიც ფოკუს ჯგუფებში მონაწილობდნენ, მამაკაცებთან შედარებით უფრო აქტიურები და კრიტიკულები იყვნენ. ამას გარდა, თავად პრობლემაც მათთვის უფრო აქტუალური იყო. ისინი კარგად აცნობიერებენ, რომ წყლის პრობლემის მოხსნის შემთხვევაში გამონთავისუფლებულ დროს მოახმარენ, როგორც ოჯახის კეთილდღეობას ისე პირადი პრობლემების მოგვარებას.

გამოიკვეთა სოფლად ლიდერი ქალბატონები, რომლებიც მათთვის ხელის შეწყობის შემთხვევაში დაკავდებიან სოფლად არსებული პრობლემების მოგვარებით. გამოიკვეთა, რომ

- სოფლად ქალებისთვის წყლის მიწოდების პრობლემის თუნდაც ნაწილობრივი მოხსნისას, გამონთავისუფლებული დროის სწორად განაწილებისა და შესაფერისი სამუშაოს გამონახვის შემთხვევაში მოსახლეობისათვის უფრო იოლი იქნება მიწოდებული წყლის გადასახადის გადახდა.
- ქალბატონების ჩართვა სოფლის საზოგადოებრივი საჭიროებების მოგვარებაში, გაზრდის მათ თვითშეფასებას და დადებითად აისახება, როგორც მათ შრომისუნარიანობის გაზრდაზე, ისე ოჯახის შემოსავალსა და კეთილდღეობაზე.

# გენდერული თანასწორობა

გენდერული თანასწორობა, როგორც დემოკრატიული ღირებულებების შემადგენელი ნაწილი შედარებით ახალი ფენომენია და შრომატევად სამუშაოს მოითხოვს სათანადო გარემოს შესაქმნელად.

გენდერული თანასწორობა ნიშნავს, რომ ქალსა და მამაკაცს აქვთ თანაბარი პირობები და ცხოვრებისეული შანსები თავიანთი პოტენციალის სრული რეალიზაციისათვის. თანაბრად მონაწილეობენ პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული განვითარების პროცესებში და თანაბრად სარგებლობენ საზოგადოებრივი სიკეთეებით, შესაძლებლობებითა და რესურსებით.

მსოფლიო ქვეყნების აბსოლუტურმა უმრავლესობამ, გააცნობიერა საუკუნეების მანძილზე დარღვეული გენდერული თანასწორობის დამანგრეველი შედეგების მასშტაბურობა, ამიტომ იგეგმება და ხორციელდება უამრავი ღონისძება საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის გაზრდის მიზნით.

ქალთა უფლებების დაცვის მოკლევადიანი ისტორიის მიუხედავად გამოყენებული იქნა არაერთი მეთოდოლოგია და დღესაც მიმდინარეობს ახალ-ახალი მიდგომების აპრობაცია. ქალთა უფლებების დაცვის გეოგრაფია თითქმის მთლიანად მოიცავს მსოფლიო პოლიტიკურ, თუ სოციალ-ეკონომიკურ რუკას.

მრავალი მეთოდოლოგიიდან დღეისათვის ყველაზე პოპულარული გახდა რესურსების გამოყენების თეორია, რომელმაც მოიცვა ნორვეგია, დანია, შვედეთი და სხვა.

გენდერული თანასწორობისათვის ბრძოლის საქმეში კავკასიაში ერთ-ერთ რეფორმატულ ქვეყანად საქართველო მოიაზრება და მართლაც გატარდა გარკვეული ღონისძიებები პოლიტიკური (კანონის დონეზე) თუ პრაქტიკული თვალსაზრისით, თუმცა მსოფლიო გენდერული ინდექსის მიხედვით, 134 ქვეყნიდან საქართველო 84-ე ადგილზეა და ჩამორჩება ისეთ ქვეყნებს, როგორებიცაა ტანზანია, განა, ვიეტნამი, უზბეკეთი და ნიკარაგუა;

ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ ფართოდ გავრცელებული ფენომენია ადრეული ქორწინებები, მოტაცება ქორწინების მიზნით, ქალიშვილობის ინსტიტუტი, ე.წ. "ღირსების მკვლელობებიც" კი, ყოველი მეთერთმეტე ქალი მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია, ხოლო 35%-ზე მეტი განიცდის ძალადობის სხვადასხვა ფორმებს, მათ შორის ფსიქოლოგიურ, სიტყვიერ და ეკონომიკურ ზეწოლას; საქართველო მოწინავე ქვეყანაა მსოფლიოში სელექციური აბორტების, იგივე დაუბადებელ ბავშვთა სქესობრივი ნიშნით მკვლელობების, თვალსაზრისით. ტრადიციის შედეგად, რომლის თანახმადაც ბიჭის, როგორც "მემკვიდრის" დაბადება უფრო სასურველია, ყოველწლიურად ათასობით გოგონა ხდება სქესის ნიშნით ნაყოფის მუცელშივე მკვლელობის მსხვერპლი.

ქალები უარეს მდგომარეობაში არიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის თვალსაზრისითაც: ნომინალურია ქალთა წარმომადგენლობა საქართველოს პარლამენტში, აღმასრულებელ ხელისუფლებასა და კერძო სექტორში. მართალია, პროცენტულად ასეთ ორგანიზაციებში დასაქმებულ ქალთა რიცხვი დიდია, მაგრამ მათი უმრავლესობა დაბალ თანამდებობრივ საფეხურებზეა წარმოდგენილი, მაშინ როცა გადაწყვეტილების მიმღები პოზიციების უმრავლესობა მამაკაცებს ეკუთვნით.

უფლებების დაცვის პარალელურად, უხეშად ირღვევა საქართველოს ქალთა უფლებები მათი შრომის უაღრესად მძიმე პირობების გამო.

ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაბალი დონის, გამეფებული სიღარიბისა და უმუშევრობის ფონზე, ქალთა შრომა უმძიმესი გახდა თვით ოჯახებშიც კი.

საოჯახო საქმეების მოგვარების და ოჯახებში ელემენტარული სანიტარიული და ჰიგიენური პირობების დაცვისათვისაც მათ არ გააჩნიათ ელემენტარული პირობები, არ მარაგდებიან უსაფრთხო სასმელი წყლით, ხშირად წყლით ოჯახის მომარაგების მიზნით მათ უწევთ ასეულობით ლიტრი წყლის მიზიდვა 500-დან 1000-მ-დე მანძილზე. სათანადოდ უზრუნველყოფილი არ არიან ენერგორესურსებით, რაც მათ პრობლემებს უქმნით სადილის მომზადების, სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის, შვილებისა და ოჯახის სხვა წევრების ჯანმრთელობის თვალსაზრისით, რაც დამატებით ქალთა შრომას მოითხოვს მათ გამოჯანმრთელებამდე და სხვა.

## ქალთა გაძლიერება - სარგებელი ყველასთვის (EWA)

არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები–საქართველო, სოფლად თემთა განვითარების სააგენტო, საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია „სემა“, ახალციხის განვითარების ცენტრი და ქალთა ორგანიზაცია „ფაროსი“ ახორციელებს პროექტს „ქალთა როლის გაძლიერება ყველასათვის“, რომლის მიზანია ქალთა ეკონომიკური და პოლიტიკური გაძლიერება მცირეშემოსავლიანი სასოფლო რეგიონებიდან ექვს განვითარებად ქვეყანაში (ავღანეთი, საქართველო, ყირგიზეთი, სამხრეთ აფრიკა, ტაჯიკეთი, უგანდა). პროექტი ხორციელდება ნიდერლანდების მთავრობის ფინანსური მხარდაჭერითა და ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის (WECF) თანამშრომლობით.

საქართველოში პროექტი ხორციელდება ოთხ რეგიონში პროექტი ორიენტირებულია ქალების ეკონომიკურ და პოლიტიკურ გაძლიერებაზე. პროექტის ფარგლებში კონსორციუმში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები საკუთარი კომპონენტების განხორციელებით ცდილობს ხელი შეუწყოს შემდეგი შედეგების მიღწევას რეგიონებში, მათ შორისაა:

- საარსებო რესურსების გაუმჯობესება და ხელმისაწვდომობის გაზრდა. ასევე, პარტნიორებისა და მიზნობრივი ჯგუფის ცოდნის ამაღლება გენდეულ განსხვავებებსა და მის გავლენაზე სოფელად/რაიონში საარსებო მდომარეობაზე.
- გაზრდილი ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ფინანსების ხელმისაწვდომობა ქალებისთვის.
- გაუმჯობესებული ქალთა მონაწილეობა ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიმღებ სტრუქტურებში.
- გაუმჯობესებული გენდერული თანასწორობა ეროვნული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და პროგრამების დონეზე.

პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები - სოფლად თემთა განვითარების სააგენტო, საქართველოს ეკოლოგიურ მი-

წათმოქმედთა ასოციაცია „სემა“, ახალციხის განვითარების ცენტრი და ქალთა ორგანიზაცია „ფაროსი“ – აქტიურად მუშაობს ადგილობრივ დონეზე გაუუმჯობესონ რეგიონის ქალებს ბიზნესის წარმოებისა და ლიდერობის უნარ-ჩვევები. მწვანეთა მოძრაობა კი, პროქტის მიმართულებებიდან გამომდინარე აქტიურად მუშაობს საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებასთან, ცდილობს ლობირება გაუწიოს იმ საკითხებს, რომელიც ხელს შეუწყობს პროექტის მიზნის სრულად განხორციელებას.

# დავასუფთაოთ საქართველო

სექტემბერის თვეში მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ტარდება დასუფთავების ყოველწლიური საერთაშორისო კამპანია – „დავასუფთაოთ მსოფლიო“ (Clean Up the World). კამპანიის ფარგლებში შექმნილია გარემოსადცვითი რუკა, რომელზეც აღნიშნულია ყველა ის ქვეყანა, რომლებიც მონაწილეობენ ყოველწლიურ დასუფთავების აქციაში. ამ დროისათვის „დავასუფთაოთ მსოფლიო“ კამპანიის მონაწილეა 134-ი ქვეყანა. მათ შორის არის საქართველო, რომელიც მსოფლიო კამპანიას შეუერთდა 2010 წელს და ის რიგით 121-ე ქყვეყანაა, რომელიც დატანილი იქნა მსოფლიო გარემოსდაცვით რუკაზე.

2014 წლის სექტემბის მსოფლიო კამპანიის მოწოდებაა: **ჩვენი ქვეყანა... ჩვენი პლანეტა... ჩვენი პასუხისმგებლობა.**

19 სექტემბერს, თბილისში „დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანია ნარიყალს მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების აქციით გაიხსნა.

დასუფთავების აქცია გახსნა საქართველოს მწვანეთა მოძრაობის თანათავმჯდომარემ ქ-მა ნინო ჩხობაძემ, ქალაქ თბილისის მერმა ბ-მა დავით ნარმანიამ და შვედეთის სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ქ-მა მარტინა ქვიქმა. აქციის გახსნაზე მოხდა ნარჩენების სეპარაციის (დახარისხება) მეთოდის დემონსტრირება.

აქციაში ორგანიზატორების გარდა მონაწილობდნენ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსა და მყარი ნარ-

ჩენების მართვის კომპანიის წარმომადგენლები, შერატონ მეტეხი პალასის თანამშრომლები, არასამთავრობო ორგანიზაცია „ერთსულოვნება“ წევრები, მოხალისეები.

„დავასუფთაოთ საქართველო“ კამპანია, მოიცავს ქვეყნის ყველა თვითმმართველ ქალაქსა და მუნიციპალიტეტებს, სადაც ორგანიზაციის რეგიონალური კოორდინატორების ორგანიზებით ჩატარდება დასუფთავების აქციები 19, 20 და 21 სექტემბერს.

კამპანია „დავასუფთაოთ მსოფლიო - დავასუფთაოთ საქართველო“ ტარდება პროექტის - „დავასუფთაოთ საქართველო -საზოგადოების ცნობიერების ამაღლება და მისი ჩართვა მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის გაუმჯობესების პროცესში“ (ფაზა 2) ფარგლებში, რომელსაც ახორციელდებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კონსორციუმი – „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა დედამიწის მეგობრები/საქართველო, მდგრადი განვითარების კავშირი „ეკოხედვა“ და საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“, შვედეთის მთავრობის ფინანსური უზრუნველყოფით, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მხარდაჭერით, მყარი ნარჩენების მართვის კომპანიასთან თანამშრომლობით.


**გამოყენებული ლიტერატურა:**

http://mastsavlebeli.ge/?action=page&p_id=7&npid=4&id=572
http://www.hwngo.org.ge/analytics/51-cklis-problemebi
http://www.unicef.org/wash/
http://www.un.org/en/events/ruralwomenday/

**პუბლიკაცია მომზადდა და გამოიცა პროექტის „ქალთა როლის გაძლიერება ყველასათვის“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება ნიდერლანდების მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით - „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის WECF-ის თანამშრომლობით. პროექტს ახორციელებს არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიცია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები-საქართველო, სოფლად თემთა განვითარების სააგენტო, საქართველოს ეკოლოგიურ მიწათმოქმედთა ასოციაცია „სემა“, ახალციხის განვითარების ცენტრი და ქალთა ორგანიზაცია „ფაროსი“**

## სამუშაო შეხვედრა ხონის მუნიციპალიტეტში

პროექტის „ადგილობრივი შესაძლებლობების შექმნა სოფლად, საოჯახო პირობებში გათბობის, ცხელ წყლისა და თბოიზოლაციის სისტემების დანერგვაზე აღმოსავლეთ ევროპის რეგიონში“ მიმდინარეობის ფარგლებში, საქართველოს მწვანეთა მოძრაობის ორგანიზებით ხონის მუნიციპალიტეტში შედგა სამუშაო შეხვედრა, რომლის მიზანი იყო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სამუშაობის შეფასება, არსებული პრობლემების აღმოფხვრის გზების დასახვა და დაგეგმილი ქმედებების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ადგილობრივი მოსახლეობისათვის.

შეხვედრაზე პროექტის კოორდინატორმა ქ-მა რუსუდან სიმონიძემ და ექსპერტმა ბ-მა ავთანდილ გელაძემ ისაუბრეს მზის ენერგიით წყლის გამაცხელებლების და აღნიშნული ტექნოლოგიების მაღალ ეფექტურობაზე, პროექტის წარმატებით მიმდინარეობაზე. დღეისათვის, პროექტის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში დამონტაჟებულია 500 მეტი მზის ენერგიით ცხელი წყლის კოლექტორები.

აღნიშნულ შეხვხედრას ესწრებოდნენ იმერეთის ვიცე-გუბერნატორი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, საკრებულოს თავმჯდომარე, გამგებლის წარმომადგენელი ქალაქის ტერიტორიულ ერთეულში და დაინტერესებული მოსახლეობა. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლემა პროექტის განმახორციელებელ ჯგუფს აღუთქვეს საჭიროების შემთხვევაში დახმარება. შეხვედრის შემდეგ მონაწილეებმა, დაათვალიერეს სოფელ ივანდიდში დაყენებული მზის ენერგიით ცხელი წყლის კოლექტორები.

პროექტი ხორციელდება „საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები – საქართველოს“ და „ევროპელი ქალები საერთო მომავლისათვის-WECF“ მიერ, გერმანიის ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ფედერალური სამინისტროსა და ევროკავშირის მხარდაჭერით.

**პუბლიკაციის შინაარსზე პასუხისმგებელია საქართველოს მწვანეთა მოძრაობა, მასში გამოთქმული მოსაზრებები არ უნდა იქნეს მიჩნეული დონორთა მოსაზრებებად**

**რედაქტორი:** ლელა ყაჭეიშვილი
**გამოცემაზე მუშაობდნენ:** ლელა ყაჭეიშვილი, რუსუდან სიმონიძე, ავთანდილ გელაძე
**დიზაინი:** ირაკლი გულედანი

**საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები - საქართველო**

**საქართველო, თბილისი, გრ. მუხაძის ქ. №16, 0162**
**ტელ/ფაქსი: (+995 32) 2306221; ელ-ფოსტა:** info@greens.ge
**Web-გვერდი:** www.greens.ge www.cleanup.ge